

მარნეულის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ექვსი თვის შესრულების შესახებ ინფორმაცია

მარნეულის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობების გეგმა (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები, არაფინანსური აქტივების კლება და 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთი) განსაზღვრულია 25 187 124 ლარით. აქედან: ადგილობრივი სახსრების გეგმა 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთის გათვალისწინებით შეადგენს 16 200 926 ლარს, ხოლო დარჩენილი 8 986 198 ლარი შეადგენს სხვადასხვა სახის ტრანსფერს. ტრანსფერებში გათვალისწინებულია გათანაბრებითი ტრანსფერი – 6 003 800 ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 250 000 ლარი, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 18 იანვრის #136 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი – 2 352 616 ლარი, 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთი შეადგენდა 379 782 ლარს, აქედან 336 244 ლარი არის საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის #480 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დარჩენილი ნაშთი, 36478 საქართველოს მთავრობის 2016 წლის 19 თებერვლის #265 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან, ხოლო 7060 ლარი საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 იანვრის #34 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან.

რაც შეეხება 2018 წლის ექვსი თვის ფაქტიურ შემოსავლებს:

სულ შემოსულობები ექვსი თვის გეგმით გათვალისწინებული იყო 14 601 721,97 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შემოსულობებმა შეადგინა 13 732 725,18 ლარი, რაც გეგმის 94,0 %-ია. შემოსავლები დაგეგმილი იყო 11 210 285,55 ლარით, ფაქტიურად შემოსულია 10 419 107,67 ლარი, რაც გეგმის 92,94%-ია. 2018 წლის ექვსი თვის ფაქტიური შემოსავლები 11,7 %-ით მეტია 2017 წლის ანალოგიური პერიოდის ფაქტიურ მაჩვენებელთან. 2018 წლის გადასახადების ექვსი თვის გეგმა არის – 2 746 535,00 ლარი, ხოლო ფაქტიური შემოსავლები – 4 555 331,44 ლარი რაც გეგმის 165,86%-ს შეადგენს, გათანაბრებითი ტრანსფერი ფაქტიურად შემოსულია ექვსი თვის განმავლობაში 3 001 800,00 ლარი, რაც შეადგენს გეგმის 85,77 %-ს, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 124 800,00 ლარი– გეგმის 93,99 %-ი, სხვა შემოსავლების 2018 წლის ექვსი თვის ფაქტი შეადგენს 2 772 101,23 ლარს, რაც ექვსი თვის გეგმასთან შედარებით 111,92 %-ია. არაფინანსური აქტივების კლება ექვსი თვის გეგმით გათვალისწინებული იყო 500 000,00 ლარი, ფაქტმა შეადგინა– 387 256,09 ლარი, ანუ 77,45 %.

რაც შეეხება 2018 წლის ექვსი თვის ფაქტიურად გახარჯული თანხების ოდენობას, სულ შეადგენს 8 332 045,70 ლარს. აქედან ორგანიზაციული ბიუჯეტის მიხედვით:

1. წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ გახარჯული თანხა სულ შეადგენს 497 198,57 ლარს, რომელიც გაწეულია შემდეგი გადასახდელების დასაფარავად: შრომის ანაზღაურებაზე 307

584,56 ლარი, საქონელი და მომსახურების მუხლით 122 693,01 ლარი, სხვა ხარჯების მუხლით 64 543,00 ლარი, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით 2 378,00 ლარი.

2. აღმასრულებელი ორგანოს მიერ გახარჯული თანხა სულ შეადგენს 1 901 024,18 ლარს, რომელიც გაწეულია შემდეგი გადასახდელების დასაფარავად: შრომის ანაზღაურებაზე – 1 206 916,00 ლარი, საქონელი და მომსახურების მუხლით 553 768,96 ლარი, გრანტების მუხლით 45 000 ლარი, სოციალური უზრუნველყოფის მუხლით 15 229,44 ლარი, სხვა ხარჯების მუხლით 3 871,42 ლარი, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით 76 238,36 ლარი.
3. სარეზერვო ფონდიდან გახარჯული 41 869,00 ლარი გაწეულია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 67-ე მუხლის შესაბამისად გაუთვალისწინებელი ხარჯების დასაფარავად. (დანართი №1 შესაბამისად).
4. წინა პერიოდში წარმოქმნილ ვალდებულებებზე გახარჯულია 89 261,00 ლარი, რომელიც წარმოადგენს აღებული სესხების ძირის დაფარვას.
5. ვალთან დაკავშირებული ოპერაციის მუხლით გაწეული ხარჯი არის 66 973,00 ლარი რომელიც შეადგენს აღებული სესხების პროცენტის დაფარვას.
6. სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის ხარჯი შეადგენს სულ 99 206,81 ლარს, რომელიც შედგება შემდეგი ხარჯებისაგან: შრომის ანაზღაურება – 76 360,55 ლარი, საქონელი და მომსახურების მუხლით 22 556,81 ლარი, ხოლო სოციალური უზრუნველყოფის მუხლით 289,45 ლარი.
7. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის ხარჯებზე სულ გახარჯულია 2 690 254,88 ლარი. აქედან:

7.1 გზებისა და ხიდების მშენებლობაზე, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვაზე სულ გახარჯულია 162 454,05 ლარი

7.1 წყლის სისტემების რეაბილიტაციასა და ექსპლოატაციაზე გახარჯულია 1 069 060,11 ლარი, აქედან, შპს „მარნეულის სოფწყალი“ სუბსიდიის სახით დაფინანსებულია 603 821,46 ლარით, რეაბილიტაციაზე ადგილობრივი სახსრების ფარგლებში – 297 185,26 ლარი, კაპიტალური ტრანსფერების ფარგლებში – 166 998,00 ლარი, ხოლო 2018 წლის ექვსი თვის განმავლობაში შპს „მარნეულის სოფწყალი“-ს საკუთარი შემოსავლები შეადგენს – 154 601,00 ლარს.

7.2 საკანალიზაციო სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის ხარჯმა შეადგინა 4 389,60 ლარი.

7.3 გარე განათების რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის სფეროდან ელექტრო-ენერჯის ღირებულებაზე და მოვლა-შენახვაზე გახარჯულია 453 372,43 ლარი, ქსელის რეაბილიტაციაზე 42 361,64 ლარი, სულ 495 734,07 ლარი.

7.4 მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვით ღონისძიებებზე სულ გახარჯულია 584 276,66 ლარი, აქედან შპს „ორგანული ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს“ სუბსიდირება შეადგენს 58 922,93 ლარს, ხოლო ა(ა)იპ „სუფთა მარნეულის“ სუბსიდირება – 525 353,73 ლარს.

- 7.5 მარნეულის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული შპს „მარნეულის მუნიციპალიტეტის ავტოპარკზე“ გადარიცხულია სუბსიდიის სახით 275 512,70 ლარი, ხოლო საკუთარი შემოსავლები შეადგენს 244 404,58 ლარს.
- 8 მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებებზე გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 70 840,69 ლარი. აქედან:
- 8.1 სკვერებისა და პარკების გაშენება-რეკონსტრუქციის, ქალაქის გამწვანებისა და მოვლა-პატრონობის ღონისძიებების მუხლით გახარჯულია 39 211,00 ლარი.
 - 8.2 ქალაქის კეთილმოწყობაზე გახარჯულია 31630,00 ლარი.
- 9 სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სულ გახარჯულია 5487,00 ლარი.
- 10 საგანმანათლებლო ღონისძიებებზე სულ გახარჯულია 982344,83 ლარი, აქედან:
- 10.1 სკოლამდელი აღზრდის დაფინანსება შეადგენს 877862,55 ლარს, ხოლო საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია და მშენებლობაზე – 61582,28 ლარი.
 - 10.2 ზოგადი განათლების ხელშეწყობის მიზნით გახარჯულია 42 900,00 ლარი, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული მასწავლებლების ხარჯებისთვის.
11. სპორტის განვითარების ხელშეწყობაზე 2018 წლის ექვს თვეში სულ გახარჯული იქნა 684719,88 ლარი, აქედან სპორტსკოლა სუბსიდიის სახით დაფინანსდა 522 667,76 ლარით, სპორტული მოედნების მშენებლობა და რეაბილიტაცია – 159 968,12 ლარით, ხოლო სპორტული ღონისძიებები – 2 084,00 ლარით.
12. კულტურული განვითარების ხელშეწყობაზე 2018 წლის ექვს თვეში სულ გახარჯული იქნა 422447,60 ლარი, აქედან კულტურული ღონისძიებებისათვის 99 894,93 ლარი, კულტურის ცენტრის დაფინანსებაზე 319 995,67 ლარი, ხოლო კულტურული დაწესებულებების რეაბილიტაციაზე – 2 557,00 ლარი.
13. ტელევიზიის მომსახურებაზე – 26 333,85 ლარი.
14. რელიგიურ და სხვა სახის საზოგადოებრივ მომსახურებაზე – 253 257,32 ლარი.
15. 2018 წლის ექვს თვეში საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსებაზე გახარჯულია 70 822,43 ლარი.
16. სოციალურად დაუცველი მოსახლეობაზე დახმარების მიზნით გაწეულია 548 101,35 ლარის ხარჯი, აქედან ავადმყოფთა სოციალური დაცვის მუხლით – 408 494,40 ლარი, ოჯახების და ბავშვების სოციალური დაცვის მუხლით – 139 106,95 ლარი, ხოლო ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯების მუხლით გახარჯულია 500,00 ლარი.

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი:

ვუგარ მამედოვი